



გარემოზე ზომიერობის გაფარასთან
დაკავშირებული საქართველოს
კანონმდებრობის აღმინი
1997-2015

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

სერგო ფარეიშვილი, ნინო შუშტაკაშვილი,
ანა კეკელიძე, ქეთევან პაპაშვილი, ლელა ყაჭეიშვილი

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა პროექტის „გარემოზე ზემოქმედების პროცედურა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

საქართველო. თბილისი. გრ. მუხაძის №16, 0162

ტელ: (+995 32) 2 30 62 21

ელ.ფოსტა: info@greens.ge

ვებ-გვერდი: www.greens.ge

საქართველოს აკტები (1997- 2015)

საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ასევე, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს 1997-2007 წლებში განსაზღვრავდა საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“. კანონის მოქმედება ვრცელდებოდა მხოლოდ იმ საქმიანობაზე, რომლის განხორციელება დაგეგმილი იყო კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის №154 დადგენილება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

2005 წლის 2 სექტემბრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესი და პირობები ასევე განისაზღვრებოდა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის №154 დადგენილებით „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

2008 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა სრულ ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“.

ნებართვის გამცემი ორგანოები

1997-2007 წლებში გარემოსდაცვითი ნებართვას 1-ლი და მე-3 კატეგორიის საქმიანობაზე გასცემდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების

დაცვის სამინისტრო, მე-3 კატეგორიის საქმიანობაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები, ხოლო მე-4 კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანო.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვას 2008 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 17 მარტამდე გასცემდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2011 წლის 17 მარტიდან 2013 წლის 4 მაისამდე საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, ხოლო 2013 წლის 4 მაისიდან ნებართვას გასცემს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

სანებართვო საქმიანობაზი

საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ განისაზღვრებოდა გარემოსდაცვით ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელიც იყოფოდა 4 კატეგორიად მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით (იხ. დანართი №1).

პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდა საქმიანობა, რომელიც თავისი მასშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვია სერიოზული უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივი რესურსებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

მეორე კატეგორიას განეკუთვნებოდა საქმიანობა, რომელსაც თავისი მასშტაბით, განლაგებით და შინაარსით შეიძლება მოხსდინა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და იმ რეგიონის გარემოზე, სადაც დაგეგმილი იყო საქმიანობის განხორციელება.

მესამე კატეგორიას განეკუთვნებოდა საქმიანობა, რომელიც თავისი მასშტაბით, განლაგებით და შინაარსით არ გამოიწვევდა მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას გარემოზე.

მეოთხე კატეგორიას განეკუთვნებოდა საქმიანობა, რომელიც არ შედიოდა 1-ელ, მე-2 და მე-3 კატეგორიებში და გამოიწვევდა უმნიშვნელო ზემოქმედებას გარემოზე.

მე-4 კატეგორიას მიკუთვნებული საქმიანობის ჩამონათვალს ამტკიცებდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

საქართველოს კანონით „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ განისაზღვრება ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობები (იხ. დანართი 2).

თუ ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ჩართვას სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. აღნიშნულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის წარდგენილ დოკუმენტაციაზე სამინისტრო გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი ბრძანებით. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა მშენებლობის ნებართვის გაცემის მე-2 სტადიაზე. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა მშენებლობის ნებართვის ნაწილია (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა მშენებლობის ნებართვის მაძიებლისათვის ან მფლობელისათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულება სავალდებულოა, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის პერიოდში).

1997-2005 წლებში საქართველოს კანონის „წყლის შესახებ“ თანახმად - წყალსარგებლობის ისეთი სახეობები, როგორიცაა ზედაპირული წყლის დონის ან დინების ხელოვნური შეცვლა, სხვადასხვა დანიშნულების იმ ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომლებიც გავლენას არ ახდენდა ზედაპირული წყლის მდგომარეობაზე, თუ ეს არ იყო დაკავშირებული წყლის ობიექტიდან წყლის ამოლებასთან, არ საჭიროებდა წყალსარგებლობის ლიცენზიას და ექვემდებარებოდა გარემოსდაცვითი ნებართვის აღებას „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და შემთხვევებში.

შედარებითი ანალიზი

სანებართვო საქმიანობები 1997-2005 წლებში იყოფოდა კატეგორიებად, რომელიც გაუქმდა 2005 წლიდან. 1997-2005 წლებში კანონით განსაზღვრული მე-2, მე-3 და მე-4 კატეგორიებით განსაზღვრული სანებართვო საქმიანობების განხორცილება არ საჭიროებს 2008 წლიდან ნებართვას და მათვის სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დაცვა. აღსანიშნავია, რომ ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საქმიანობის ჩამონათვალი.

1997 წლიდან 2005 წლამდე გარემოსდაცვითი ნებართვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი, ხოლო 2005 წლიდან იგი გახდა მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი (თუ ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობა საჭიროებდა მშენებლობის ნებართვას).

1997-2005 წლებში ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღება ექვემდებარებოდა ლიცენზიას ან გარემოსდაცვით ნებართვას, ხოლო ამჟამად არ ექვემდებარება არც ლიცენზიას, არც ნებართვას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება:

1997-2007 წლებში მოქმედი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) განმარტებული იყო, როგოც დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურა, რომლის მიზანი იყო გარემოს ცალკეული ელემენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. გზშ შეისწავლიდა, გამოავლენდა და აღწერდა საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, პაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებზე და ისტორიულ ძეგლებზე ან ყვე-

ლა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ერთიანობაზე, მათ შორის, ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებზე (მემკვიდრეობაზე) და სოციალურ და ეკონო-მიკურ ფაქტორებზე (ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის).

გარემოსდაცვითი ნებართვა პირველი კატეგორიის საქმიანობაზე გაიცემოდა მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის გავლის შემდეგ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ვალდებულება ეკისრებოდა ნებართვის მაძიებელს.

2008 წლიდან „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ კანონის შესაბამისად გარემოსდაცვითი შეფასება სავალდებულოა ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ ყველა საქმიანობისთვის.

1997-2007 წლებში საქმიანობა შეიძლება გათავისუფლებულიყო გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან, თუ:

ინვესტორი იმეორებდა ან აგრძელებდა ადრე დაწყებულ საქმიანობას, რომლისთვისაც უკვე შესრულდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა და მისი ხელახალი განმეორება არ შეიძლება შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას.

საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვდა, რომ საქმიანობა დაიწყებულიყო და გადაწყვეტილება ამის შესახებ სასწრაფოდ უნდა ყოფილიყო მიღებული.

გადაწყვეტილებას გარემოს ზემოქმედების შეფასების-გან საქმიანობის გათავისუფლების შესახებ ინვესტორის თხოვნით იღებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების სპეციალური საბჭო, რომლის შემადგენლობასა და ფუნქციებს განსაზღვრავდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.

2008 წლიდან საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გზშ-ისგან, თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას. გზშ-ისგან გათავისუფლების თაობაზე საქმიანობის განმახორციელებლის განცხადებას განიხილავს და შესაბამის წინადადებებს შეიმუ-

შავებს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭო, რომლის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მინისტრი. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს მიერ შემუშავებულ წინადადებებზე გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით.

შესახებ ანალიზი

1997-2005 წლებში გარემოსდაცვითი შეფასება სავალდებულო იყო 57 საქმიანობისთვის, ხოლო 2005 წლიდან იგი სავალდებულო გახდა მხოლოდ 24 საქმიანობისთვის.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა

1997-2007 წლებში გარემოსდაცვითი ნებართვა გაიცემოდა მხოლოდ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ყველა სანებართვო კატეგორიისთვის. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების უფლება ჰქონდათ: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ და მისდამი დაკვემდებარებულ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რეგიონალურ (საქალაქო) სამმართველოებს (ქალაქ თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის ჩათვლით) და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის რეგიონალური (საქალაქო) სამმართველოების, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებისა და ქალაქ თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის რაიონულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას ამზადებ-

და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი საექსპერტო კომისა. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები. ექსპერტთა რეესტრს აწარმოებდა სამინისტრო. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურის ვადები, საქმიანობის კატეგორიების მიხედვით შეადგენდა: ა) I კატეგორიის საქმიანობისთვის არა უმეტეს 75 დღეს; ბ) II კატეგორიის საქმიანობისთვის არა უმეტეს 50 დღეს; გ) III კატეგორიის საქმიანობისათვის არა უმეტეს 50 დღეს; დ) IV კატეგორიის საქმიანობისთვის არა უმეტეს 20 დღეს. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცესის დაფინანსება ხორციელდებოდა გარემოსდაცვითი ნებართვის მაძიებლის მიერ, ხოლო სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2008 წლიდან ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა არის აუცილებელი საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაკვემდებარებული საქმიანობის განხორციელებაზე გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გასაცემად.

შესაბამისობის ანალიზი

1997-2005 წლებში ეკოლოგიური ექსპერტიზის ვადა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაკვემდებარებული საქმიანობისთვის შეადგნდა არა უმეტეს 75 დღეს, ხოლო 2005 წლიდან შეადგენს არანაკლებ - 10 და არაუმეტეს - 15 დღეს.

პროექტის შეთანხმება სხვა უწყებებთან

1997-დან 2005 წლამდე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განმცხადებელი ვალდებული იყო ნებართვის გამცემისთვის წარედგინა სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებას სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების მოთხოვნებთან საქმიანობის შესაბამისობის შესახებ.

შედების ანალიზი

2005 წლიდან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად არ არის სავალდებულო საქმიანობის შეთანხმება სხვა სახელმწიფო უწყებებთან.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიო-ბის მონაწილეობა 1997-დან-2007 წლამდე

- პირველი და მე-2 კატეგორიის საქმიანობის განსა-ხორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცე-მის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო საზოგადოების მონაწილეობა.
- საზოგადოების წარმომადგენლებს უფლება ჰქონდა ნებართვის მაძიებლისთვის მიეწოდებინა მოსაზრებე-ბი და შენიშვნები პირველი კატეგორიის საქმიანო-ბასთან დაკავშირებით.
- საზოგადოების აზრის გათვალისწინებისა და მონა-წილეობის უზრუნველყოფის მიზნით ნებართვის მა-ძიებელი ვალდებული იყო გაცნობოდა საზოგადოე-ბის წარმომადგენლების წერილობით მოსაზრებებსა და შენიშვნებს პირველი კატეგორიის საქმიანობა-სთანდაკავშირებით და გაეთვალისწინებინა მათი არ-გუმენტები და მასაბუთებელი დოკუმენტაციის საბო-ლოო სახით გაფორმების პროცესში.
- საზოგადოების წარმომადგენლებს უფლება ჰქონდა საკუთარი ხარჯებით ეწარმოებინა გარემოზე ზემოქ-მედების დამოუკიდებელი შეფასება პირველი კატე-გორიის საქმიანობისათვის და წარედგინა იგი გარე-მოსდაცვითი ნებართვის გამცემ ორგანოსთვის. გარე-მოზე ზემოქმედების დამოუკიდებელი შეფასების შე-დეგები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო პირვე-ლი კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მი-ღებისას.
- თუ საზოგადოების წარმომადგენლები თვლიდა, რომ შეიღახა მისი უფლებები, უფლება ჰქონდა მიემართა სასამართლოსთვის.

შედარებითი ანალიზი

1997-2007 წლებში გარემოსდაცვითი ნებართვა გაიცემოდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოები და შესაბამისად უზრუნველყოფილი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, ხოლო 2008 წლიდან გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით. შესაბამისად არ არის უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა.

საზოგადოების ინფორმირება

1997-2005 წლებში პირველი კატეგორიის საქმიანობის განსახორციელებლად ნებართვის მაძიებელს უფლება ჰქონდა ჩაეტარებინა გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჯარო განხილვა და გზშ მიმდინარეობის პროცესში ჩატარებული გამოკვლევის მასალები მისაწვდომი გაეხადა საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. მე-3 კატეგორიის საქმიანობის განსახორციელებლად გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო საზოგადოების ინფორმირება.

2005 წლიდან საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწყოს მისი საჯარო განხილვა.

შედარებითი ანალიზი

1997-2005 წლებში საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენდა ნებართვის მაძიებლის უფლებას, ხოლო 2005 წლიდან აღნიშნული წარმოადგენს საქმიანობის სუბიექტის ვალდებულებას.

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა 1997-დან 2005 წლამდე

- განაცხადის მიღებიდან ათი დღის ვადაში საზოგადოებრიობის ინფორმირების მიზნით ნებართვის გამცემივალდებული იყო:
 - ა) გამოქვეყნებინა პრესაში განაცხადთან ერთად წარმოდგენილი მოკლე ანოტაცია;
 - ბ) გამოქვეყნებინა ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვის დროისა და ადგილის შესახებ (გარდა მე-3 და მე-4 კატეგორიის საქმიანობისა);
 - გ) საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიეღო და განეხილა საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები (გარდა მე-3 და მე-4 კატეგორიის საქმიანობისა).
- ნებართვის გამცემი ვალდებული იყო განაცხადის მიღებიდან არა უგვიანეს ორი თვისა ჩაეტარებინა საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ინვესტორის, გარემოს დაცვის სამინისტროს, მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები;
- პირველი კატეგორიის საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის განხილვის მაქსიმალური ვადა იყო 3 თვე, მე-2 და მე-3 კატეგორიის 2 თვე, ხოლო მე-4 კატეგორიის 1 თვე.
- განაცხადის ასლი ინახებოდა ნებართვის გამცემ ორგანოში ან იმ ორგანოში, სადაც იყო დაგეგმილი საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაციის განხილვა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შეეძლოთ გაცნობოდნენ განაცხადს (ცომერციული, საწარმოო და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნაწილის გარდა) განაცხადის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში (აღნიშნული არ ვრცელდებოდა მე-4 კატეგორიის საქმიანობებზე).
- განაცხადის განხილვის ვადაში ნებართვის გამცემი ვალდებული იყო: ჩაეტარებინა დამასაბუთებელი დოკუმენტაციის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერ-

ტიზა; დაედგინა, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოს კანონმდებლობას; დაედგინა, შეესაბამება თუ არა საქმიანობა ან მისი ცალკეული ნაწილი საქართველოში მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებს; დაედგინა ღონისძიებები, რომელთა შემუშავება საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში აუცილებელი იქნება გარემოზე ზეგავლენის შემცირების მიზნით; სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საზოგადოებრიობის აზრის გათვალისწინებით მიეღო გადაწყვეტილება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ.

2005 წლიდან გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცემა ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 20 დღის ვადაში.

შესახებ ანალიზი

1997-2005 წლებში გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის მაქსიმალური ვადა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობისთვის შეადგენდა 3 თვეს, ხოლო 2005 წლიდან შეადგენს - 20 დღეს.

ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1997-2005 წლებში გარემოსდაცვითი ნებართვა არ გაიცემოდა იმ შემთხვევაში თუ:

- საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში დაირღვეოდა საქართველოს კანონმდებლობა;
- საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში დაირღვეოდა საქართველოში მოქმედი გარემოს დაცვის ნორმები და თუ საქმიანობის განხორციელების ადგილას გარემოს მდგომარეობის გაუარესება გამოწვეული იქნებოდა საქმიანობაში იმ ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ ტექნოლოგიურ ნორმებს;

- გ) საქმიანობის (ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის) განხორციელება არ იქნებოდა მიზანშეწონილი მისი განლაგების, შინაარსის ან მასშტაბის გამო;
- დ) საქმიანობის განხორციელების შედეგად არ ირღვევოდა არსებული გარემოს დაცვის ნორმები, მაგრამ არსებობდა ანალოგიური საქმიანობის ან მისი რომელიმე ნაწილის განხორციელების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პრეცედენტი;
- ე) საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში დაირღვევოდა საქართველოში მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური წესები და ნორმები და საფრთხე შეექმნებოდა ადამიანის ჯანმრთელობას.

2005 წლიდან გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ გაიცემა თუ:

- ა) დარღვეულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გარემოსდაცვით სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;
- ბ) განსახორციელებელ საქმიანობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა არსებობს.

შედეგები ანალიზი

2008 წლიდან კანონით შემცირდა ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები, გარემოსდაცვითი ნებართვის მაძიებლის და ნებართვის მფლობელის ვალდებულებები:

1997-2005 წლებში ნებართვის მაძიებელი ვალდებული იყო ნებართვის გამცემისთვის მიეწოდებინა ობიექტური მონაცემები. არაობიექტურად მიწოდებული ინფორმაციისთვის იგი პასუხს აგებდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებართვის მაძიებელს (პირველი და მეორე კატეგორიის საქმიანობის დაგეგმვისა და ასევე გზშ-ის ჩატარების პროცესში მოწყობილი საჯარო განხილვის დროს)

ინფორმაციის გაცემაზე შესაბამისი დასაბუთებით უარი შეიძლება ეთქვა მხოლოდ მაშინ, თუ: а) მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა სახელმწიფო, კომერციულ ან საწარმოოსაიდუმლობას; ბ) გზშ-სთან დაკავშირებული კონკრეტული სახის გამოკვლევა ჯერ არ იყო დამთავრებული, შესაბამისად, ინფორმაცია არ იყო სრულყოფილი და არ ასახავდა საქმის რეალურ ვითარებას. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას საზოგადოებრიობის წარმომადგენელს უფლება ჰქონდა მიემართა სასამართლოსთვის. ნებართვის მფლობელი ვალდებული იყო: а) განეხორციელებინა დამასაბუთებელი დოკუმენტაციით გათვალისწინებული საქმიანობა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესაბამისად; ბ) საქმიანობის განხორციელების დაწყების შემდეგ შესრულებინა გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელი ის ღონისძიებები, რომელთაც აუცილებლად მიიჩნევდა ნებართვის გამცემი. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილი იყო ტენდერის საფუძველზე შეერჩია საკონსულტაციო ფირმა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩასატარებლად.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით - საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია მიმართოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობის შეცვლის მოთხოვნით, თუ დაასაბუთებს, რომ მისი შესრულება ვერ უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების შემცირებას ან თავიდან აცილებას, ანდა თუ დაასაბუთებს მისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობის სხვა პირობით შეცვლის აუცილებლობასა და ეფექტური გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების თვალსაზრისით. აღნიშნულ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სამინისტროს წარუდგინოს დასაბუთებული შუამდგომლობა, რომელსაც განიხილავს და შესაბამის წინადადებებს შეიმუშავებს სამინისტროსთან არსებული სათათბირო ორგანო – ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შეცვლის საკითხის განმხილველი კომისია. კომისიისათვის წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს და კომისიის საქმიანობის წესს განსაზღვრავს მინისტრი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით „ეკო-

ლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შეცვლის საკითხის განმხილველი კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“. კომისია საკითხის განხილვის შემდეგ მინისტრს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას. კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში მინისტრი საკითხს წარუდგენს საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში მინისტრი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

სანებართვო მოსაკრებელი

2003-2005 წლებში გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისთვის სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენდა:

- ა) პირველი კატეგორიის საქმიანობა – 500 ლარი;
- ბ) მეორე კატეგორიის საქმიანობა – 300 ლარი;
- გ) მესამე კატეგორიის საქმიანობა – 200 ლარი;
- დ) მეოთხე კატეგორიის საქმიანობა – 100 ლარი.

2005 წლიდან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს - 500 ლარს.

მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება

1997-2007 წლებში მოქმედი კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ ვრცელდებოდა მხოლოდ კანონის ამოქმედების შემდეგ განსახორციელებელ საქმიანობაზე, შესაბამისად პირი, რომელიც ახორციელებდა სანებართვო საქმიანობას, არ იყო ვალდებული მიეღო ნებართვა, ხოლო ამჟამად არსებული კანონით „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ პირებს, რომელებიც ახორციელებდნენ ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაკვემდებარებულ საქმიანობას, 2015 წლის 1 ივნისამდე და არ აქვთ ნებართვა ვალდებული არან მიმართონ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თხოვნით.

შედარებითი ანალიზი

1997-2007 წლებში პირები თუ ახორციელებდნენ სანებართვო საქმიანობას, რომლის განხოციელება დაიწყეს 1997 წლამდე, არ იყვნენ ვალდებული მიეღოთ ნებართვა ან მიემართათ საქმიანობის გაგრძელების თხოვნით სახელმწიფო ორგანოსთვის. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით კი პირებს აკისრიათ აღნიშნული ვალდებულება.

პასუხისმგებლობა 1997-2007 წლებში:

- საკონსულტაციო ფირმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებდა გარემოზე ზემოქმედების ობიექტურად შეფასებისათვის.
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგების საქართველოს კანონმდებლობასთან და გარემოს დაცვის ნორმებთან შესაბამისობის ექსპერტიზის მართებულობაზე პასუხისმგებელი იყვნენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მისი რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოები და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროები. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შემსრულებლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხს აგებდნენ ექსპერტიზის ობიექტურად ჩატარებისთვის.
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79-ე მუხლის შესაბამისად გარემოს-დაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა იწვევდა თანამდებობის პირთა გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე. აღნიშნული მუხლი ამოღებულ იქნა კოდექსიდან 2006 წლის 25 ივლისის №3516-რს კანონით.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 306-ე მუხლის შესაბამისად მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით კანონის საფუძველზე პირველ კატეგორიას მიკუთვნებუ-

ლი საქმიანობის განხორციელება გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე, – ისჯებოდა ჯარიმით ან გამას-წორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თა-ვისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ამჟამად მოქმედი რედაქცია:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 791 მუხლის შესაბამისად - საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, – გამოიწვევს დაჯარიმებას შვიდი ათასიდან ათი ათას ლარამდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 792 მუხლის შესაბამისად- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევაში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გამო ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ დარღვევის აღმოსაფხვრელად დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის 361 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად (ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სალიცენზიონ ან სანებართვო პირობების დარღვევისათვის).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 793 მუხლის შესაბამისად:

1. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა - გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, განსაზღვრულ ვადაში მიმდინარე საქმიანობის გაგრძე-

ლების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პი-
რობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაკისრებუ-
ლი ჯარიმის გასამმაგებას „გარემოზე ზემოქმედების
ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგე-
ნილი წესით.

3. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან განსაზღ-
ვრული ვადის გასვლის შემდეგ, თუ „გარემოზე ზე-
მოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანო-
ნით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორ-
ციელებელი მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების
შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილ პირობებს არ
დაკამაყოფილებს, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგ-
დება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“
საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 306-ე
მუხლის შესაბამისად - საქმიანობის განხორციელება გა-
რემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, ჩადენილი ასე-
თი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების
შემდეგ, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი
ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღვეთით ვადით
სამ წლამდე.

გადარიგითი ანალიზი

თუ პირი 1997-2007 წლებში ახორციელებდა პირველი
კატეგორიით განსაზღვრულ საქმიანობას, ეკისრებოდა
სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამჟამად, თუ
იგი განახორციელებს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემ-
დებარებულ საქმიანობას მას დაეკისრება, ადმინისტრა-
ციული პასუხისმგებლობა, ხოლო განმეორებით სისხლის-
სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

1997-2007 წლებში მოქმედი კანონმდებლობით თუ პირი
1997 წლამდე ახორციელებდა სანებართვო საქმიანობას,
არ იყო ვალდებული მიეღო ნებართვა ან მიემართა საქმი-
ანობის გაგრძელების თხოვნით სახელმწიფო ორგანოსთ-
ვის. კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ ვრ-

ცელდებოდა მხოლოდ კანონის ამოქმედების შემდეგ გან-
სახორციელებელ საქმიანობაზე. ამჟამად მოქმედი კანონ-
მდებლობით კი პირებს აკისრიათ აღნიშნული ვალდებუ-
ლება. საქართველოს ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა კოდექსი კი ადგენს შესაბამის პასუ-
ხისმგებლობას.

* * *

დანართი №1

გარემოსდაცვით ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობის 1997-2005 წლებში

პირველი კატეგორიის საქმიანობები

- მინერალური ნედლეულის მოპოვება წიაღისეული რესურსების მოპოვება (გარდა ამ კანონის მე-4 მუხ-ლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი საქმიანობისა) და მინერალური ნედლეულის გამდიდრება; მინერალუ-რინედლეულის მოპოვებასთან და გამდიდრებასთან დაკავშირებული მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობე-ბის მშენებლობა; ღრმა ბურღვა, განსაკუთრებით ღრმა ცირკულაციის თერმული წყლებისმოსაპოვე-ბლად გამიზნული სამუშაოები; სამთო გამონამუ-შეგრების შეგროვება და მათ განთავსებასთან დაკავ-შირებული სამუშაოები.
- ენერგეტიკული მრეწველობა ნავთობნედლეულის გადამუშავება და ნავთობქიმიური წარმოება; ნახში-რის გაზიფიცირება და გათხევადება; ნახშირის დაკო-ქსვა; ნახშირისა და ლიგნიტის ბრიკეტირება; თბო-ელექტროსადგურებისა და სხვა თერმული ობიექტე-ბის მშენებლობა (10 მეგავატზე მეტი სიმძლავრის); გაზის, ორთქლის, ცხელი წყლისა და ელექტროენერ-გიის მაგისტრალურ გადამცემ საშუალებათა მშე-ნებლობა; პიდროელექტროსადგურების (10 მეგავა-ტზე მეტი სიმძლავრის) მშენებლობა; კაშხლებისა და ხელოვნური წყალსაცავების, სხვა პიდროტექნი-კური ნაგებობების მშენებლობა; ნებისმიერი დანიშ-ნულებისა და სიმძლავრის ბირთვული რეაქტორების

მშენებლობა; ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა; ბირთვული საწვავის წარმოება და გამდიდრება, გამომუშავებული ბირთვული საწვავის გადამუშავება.

- გ) სოფლის მეურნეობა თევზის სარეწი მიზნით მოშენება ბუნებრივ წყალსატევებში; მიწების სამელიორაციო სამუშაოების წარმოება; სასოფლო-სამეურნეო მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება (50 ჰექტარზე მეტი ფართობის); მოსალოდნელი საშიში სტიქიური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება.
- დ) კვების მრეწველობა თევზისა და ცხოველური ძვლებისგან ფქვილის წარმოება; მცენარეული და ცხოველური ზეთებისა და ცხიმების წარმოება; სახამებლის სამრეწველო წარმოება; კონსერვის წარმოება (წელიწადში 5000 ტონაზე მეტი ნედლეულის გადამმუშავებელი ობიექტები); ლუდსახდელი, ლიქიორის, კონიაკის, არყის სახდელი და ღვინის წარმოება (წელიწადში 30 მილიონ ლიტრზე მეტი მწარმოებლობის ობიექტები). ე) ქიმიური მრეწველობა ნებისმიერი ტიპისა და სიმძლავრის ქიმიური წარმოება; მათ შორის: ნახევარფაბრიკატების (მუალედური პროდუქტების) ქიმიური დამუშავება და ქიმიური ნივთიერებების წარმოება; პესტიციდების, ფარმაცევტული პროდუქტების, ქიმიური საღებავების, ლაქის, ზეროქსიდებისა და ელასტიკური ნივთიერებების (რეზინისან პლასტიკური ნივთიერებების) წარმოება და დამუშავება; დენთისა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება და შეფუთვა; აკუმულატორების წარმოება; გრაფიტის ელექტროდების დამზადება; მაცივრების წარმოება.
- ვ) მეტალურგია ნებისმიერი ტიპისა და სიმძლავრის მეტალურგიული წარმოება. ზ) მანქანათმშენებლობა და გემთმშენებლობა მანქანათსაშენი, მათ შორის საავტომობილო, გემთსაშენი, სარკინიგზოდა საავიაციო წარმონალტონის წარმოება; გემთსაშენი, სარკინიგზო და საავიაციო სარემონტო წარმოება; ძრავების, ტურბინებისა და რეაქტორების წარმოება და მათი გამოცდა.

- თ) საშენ მასალათა მრეწველობა ნებისმიერი წარმოება, სადაც გამოყენებული იქნება აზბესტი; ცემენტის წარმოება; ასფალტის წარმოება; მინისა და მინის პროდუქციის წარმოება.
- ი) ხე-ტყის გადამმუშავებელი, ქაღალდის, ტყავისა და საფეიქრო მრეწველობა მერქან-ბურბუშელოვანი და მერქან-ბოჭკოვანი ფილების წარმოება; ხელოვნური მინერალური ბოჭკოს წარმოება; ცელულოზის, ქაღალდისა და მუყაოს წარმოება; ტყავის გადამმუშავებელი წარმოება; მაუდ-კამვოლის (მატყლის გამწმენდი, გაუცხიმოვნებელი და გამთეთრებელი) კომბინატის მშენებლობა.
- კ) ნარჩენების გადამუშავება და განთავსება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების განთავსება, მათი სამარხების, გადამუშავებისა და დაწვის ქარხნების განთავსება და ფუნქციონირება; ტოქსიკური, სახი-ფათო და რადიაქტიური ნარჩენების განთავსება, მათი სამარხების განთავსება-ფუნქციონირება და მათი გაუვნებელყოფა.
- ლ) საცავების განთავსება-ფუნქციონირება გაზის, ნავთობის, ნახშირის, ნავთობქიმიური პროდუქტების მიწისზედა და მიწისქვეშა საცავების განთავსება-ფუნქციონირება; რადიაქტიურ ნივთიერებათა საცავების განთავსება-ფუნქციონირება.
- მ) ინფრასტრუქტურული გეგმების, პროექტებისა და პროგრამების განხორციელება ურბანიზაციისა და ქალაქებისა მარების პროგრამები; მრეწველობის განვითარების პროგრამები; ენერგოსისტემის განვითარების პროგრამები; დასახლებული პუნქტების გამწმენდი ნაგებობების პროექტები; ტყეთმოწყობის პროექტები (სატყეო და სამონადირეო მეურნეობების ორგანიზაციისა და გაძლოლის პერსპექტიული გეგმების პროექტების ჩათვლით); სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განვითარების პროგრამები; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (რაიონების) მიწათმოწყობის სქემები; საავტომობილო გზების, რკინიგზების და აეროდრომების, ხიდების და ესტაკადების პროექტები; ნებისმიერიდა-

ნიშნულების მაგისტრალური მიღსადენების პროექტები; საზღვაო პორტებისა და ტერმინალების პროექტები; მეტროპოლიტენის, მიწისქვეშა საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციების პროექტები; სასტუმრო და საკურორტო კომპლექსების პროექტები; სპორტული კომპლექსებისა და ნაგებობების პროექტები; ონკოლოგიური, ინფექციური და ტუბერკულოზის საავადმყოფოების პროექტები; დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამები; საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღის და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების გეგმები და პროექტები; საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი ბუნებრივი სტიქიური პროცესების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისათვის გამიზნული, ყველა სახის სამეურნეო-საინჟინრო ობიექტების განლაგების ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი მნიშვნელობის პროგრამებიდან პროექტები.

მეორე კატეგორიის საქმიანობები

- ა) მინერალური ნედლეულის მოპოვება წიაღისეული ნედლეულის საკვლევი და სამთო სამუშაოები; მცირეზომის (100 000 ტონამდე წელიწადში) საშენი, ინერტული და დეკორატიული მასალების კარიერების მუშაობა და დაძიების სამუშაოები; მტკნარი სასმელი და მინერალური წყლების დაძიების ბურღვითი სამუშაოები.
- ბ) ენერგეტიკული მრეწველობა სამრეწველო დანიშნულების თბოელექტროსადგურების და სხვა თერმული საწარმოების (10 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის) მშენებლობა; ჰიდროელექტროსადგურების (10 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის) მშენებლობა.
- გ) სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა ყამირი მიწებისა და ბუნებრივი (ხელუხლებელი) ტერიტორიების გამოყენება ინტენსიური სოფლის მეურნეობისათვის; სასმელი და სარწყავი წყლებით მომარაგების შიდასამეურნეოსისტემების მშენებლობა-ფუნ-

ქციონირება; სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (30-დან 50 ჰექტარამდე ფართობის) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება; მეფრინ-ველეობის და მეცხოველეობის კომპლექსური ფერმების მშენებლობა; შარდოვანის მიღება მეცხოველეობიდან; მარიკულტურისა და აკვაულტურის ფერმების შექმნა; თევზსაჭერი და სამონადირეო მეურნეობების შექმნა; შაქრის წარმოება; ხილფაფის, ხილის ვაჟინისა და წვენების წარმოება; ლუდსახდელი, ლი-ქიორის, კონიაკის, არყის სახდელი და ღვინის წარმოება (წელიწადში 20-დან 30 მილიონ ლიტრამდე წარმადობის ობიექტები); რძის პროდუქტების წარმოება; საფუარის წარმოება; შესაბოლი საწარმოების შექმნა; ცხოველთა ნარჩენების გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა; მარცვლეული საკვების და-მამზადებელი ფაბრიკების მშენებლობა; უალკომო-ლო, ღვინის და სპირტიანი სასმელების ბოთლებში ჩამოსასხმელი საწარმოების შექმნა; მიწების რეკულ-ტივაცია (100 ჰექტარზე მეტი ფართობის); კონსერ-ვისწარმოება (წელიწადში 3000-დან 5000 ტონამდე ნედლეულის გადამმუშავებელი ობიექტები).

- დ) სატყეო მეურნეობა სატყეო ფონდის მიწების (100 ჰექტარზე მეტი ფართობის) არასატყეო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება; ტყის ჭრა - 500 ჰექტ-არზე მეტი ფართობის ტყეკაფზე (ყველა სახეობის ჭრის ჩათვლით).
- ე) სხვა საქმიანობა ბეჭდვითი წარმოება; მერქნის და ხის ავეჯის დამამზადებელი ფაბრიკების მშენებლობა; მინერალური და საიზოლაციო ბამბის საწარმოების მშენებლობა; კირქვის, ცარცის დამამზადებელი სა-წარმოების მშენებლობა; კომუნალური მეურნეობის, მათ შორის კანალიზაციის სამუშაოები; ბოჭკოს საშ-რობი წარმოება; აგურის და კაფელის დამამზადებე-ლი საწარმოების მშენებლობა; თაბაშირის ფილების დამამზადებელი საწარმოების მშენებლობა; სამშე-ნებლო კონსტრუქციების დამამზადებელი საწარმო-ების მშენებლობა; კომუნალური მეურნეობის, მათ შორის კანალიზაციის სამუშაოები; მინერალური

ნედლეულისგან სამშენებლო მასალის დამამზადებელი საწარმოების შექმნა; ქიმიური პროცესების გადასატანი ცისტერნების სარეცხი საწარმოების მშენებლობა.

მესამე კატეგორიის საქმიანობა

- ა) სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა ყავისა და მზესუმზირის მოსახალი საწარმოების შექმნა; კვერცხის ნაწარმის დამამზადებელი (წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის) საწარმოების შექმნა; სასოფლო-სამეურნეო საგარეულების (20-დან 30 ჰექტარამდე ფართობის) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება; საკვები ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საწარმოების (წელიწადში 200 ტონაზე მეტი წარმადობის) შექმნა; მარცვლეულის გასაშრობი, გასაჭმენდი, შესანახი და სასილოსე კოშკების მშენებლობა; უალკოჰოლო სასმელების წარმოება; თამბაქოს წარმოება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი შენობების და ნაგებობების მშენებლობა; სამრეწველო მნიშვნელობის სათბურების მშენებლობა; მარცვლეულის შესანახი და გადამმუშავებელი შენობების, ნაგებობებისა და საწარმოების მშენებლობა; მცენარეთა ქიმიური დამცვი საშუალებების და მინერალური სასუქების საწყობების მშენებლობა; საკონსერვოწარმოება (წელიწადში 2000-დან 3000 ტონამდე ნედლეულის გადამმუშავებელი ობიექტები); ლუდსახდელი, ლიქიძირის, კონიაკის, არყის სახდელი და ღვინის წარმოება (წელიწადში 10-დან 20 მილიონ ლიტრამდე ნედლეულის გადამმუშავებელი ობიექტები);
- ბ) სატყეო მეურნეობა სატყეო ფონდის მიწების (50-დან 100 ჰექტარამდე ფართობის) არასატყეო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება; ტყის ჭრა - 100-დან 500 ჰექტარამდე ფართობის ტყეკაფზე (ყველა სახეობის ჭრის ჩათვლით).
- გ) სხვა საქმიანობა სელის წარმოება; ხის სახერხი საწარმოების (წელიწადში 1000 კუბურ მეტრზე მეტი

წარმადობის) შექმნა; მერქნის შესანახი (სახმელეთო, წყლის შესასხურებელი მოწყობილობით, ან წყალზე 1000 კუბურ მეტრზე მეტი) ობიექტების მშენებლობა; კერამიკული საწარმოების მშენებლობა; შიდასამეურნეო საავტომობილო გზების გაყვანა; ბენზინის გასამართი სადგურების მოწყობა; იალქნიანი ნავების ნავსაყუდელების გამართვა; საავადმყოფოების სასტერილიზაციო მოწყობილობების საქმიანობა ეთილენის ოქსიდის გამოყენებით; კომუნალური სამრეცხაოების მოწყობა; საავადმყოფოების მშენებლობა.

მეოთხე კატეგორიის საქმიანობა

- 1) კვერცხის ნაწარმის დამამზადებელი (წელიწადში 40 ტონამდე წარმადობის) საწარმოების პროექტები;
- 2) საკვები ნახევარფაბრიკატების დამამზადებელი საწარმოების (200 ტ-მდე წარმადობის წელიწადში) პროექტები;
- 3) ჩაის ფაბრიკების მოწყობის პროექტები;
- 4) ტყის ფონდის მიწების (50 ჰა-მდე ფართობის) არა-სატყეო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების პროექტები;
- 5) 100 ჰა-დან ქვემოთ ფართობის ტყეკაფზე ტყის ჭრის (მთავარი სარგებლობისა და გავლითი ჭრების) პროექტები, გარდა მოსახლეობის სოციალური საჭიროებისათვის გამოსაყენებელი ტყის ჭრისა, ასევე მოვლითი სახეობის (მათ შორის, სანიტარიული) ჭრებისა, რომლის ჩატარება გათვალისწინებულია „საქართველოს ტყის კოდექსის“ 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეთანხმებული ტყეთმოწყობის მასალების საფუძველზე;
- 6) ხის სახერხი საწარმოებისა და მერქნის შესანახი სასწყობო მეურნეობების (წელიწადში 1000 მ3-დე წარმადობით) პროექტები;
- 7) ინკუბატორების, მესაქონლეობის (50-დან 90 სულამდე), მელორეობის (50-დან 100 სულამდე) მცირე ფერმების პროექტები;

- 8) წყლის წისქვილების, რომელთა აგება და ფუნქციონირება დაკავშირებულია მდინარეების კალაპოტის ნაწილობრივ ან სრულ გადაკეტვასთან პროექტები;
- 9) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (20 ჰა-მდე ფართობის) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების პროექტები;
- 10) ავტოსამრეცხაოების, ავტოსარემონტო სახელოსნოების, ავტომანქანების სადგომების პროექტები;
- 11) სამჭედლოების, სადურგლო, ჟანგბადის მისაღები, ფეხსაცმლის ძირების ჩამოსასხმელი, სამლებრო საამქროების პროექტები;
- 12) სავაჭრო (საბაზრო) ტერიტორიების მოწყობის პროექტები;
- 13) ავტოსაბურავების აღსადგენ საწარმოთა პროექტები;
- 14) საკონსერვო საწარმოების (წელიწადში 2000 ტ-მდე ნედლეულის გადამუშავებით) პროექტები;
- 15) შავი და ფერადი ლითონების ჯართის და/ან შავი და ფერადი ლითონების არასახიფათო ნარჩენების მიმღები პუნქტების მოწყობის პროექტები;
- 16) სასაფლაოების მოწყობის პროექტები;
- 17) მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის ან ბელტების მოჭრის პროექტები 1 ჰექტარ ფართობზე ზევით.

* * *

დანართი №2

**ეკოლოგიურ ექსარტიზას დაწვევდობარებული
საქმიანობა 2008 წლიდან**

- 1) სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება (ეკოლოგიურ ექსპერტიზას არ ექვემდებარება სამშენებლო (მათ შორის, ინერტული) მასალების გადამუშავება, გარდა ცემენტის, ასფალტის, კირის, გაჯის, თაბაშირის და აგურის წარმოებისა);
- 2) ნებისმიერი საწარმოო ტექნოლოგია, სადაც გამოყენებული იქნება აზბესტი;

- 3) ცემენტის, ასფალტის, კირის, გაჯის, თაბაშირისა და აგურის წარმოება;
- 4) მინისა და მინის პროდუქციის წარმოება;
- 5) ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა;
- 6) ნარჩენების განთავსება, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა;
- 7) სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება;
- 8) 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა;
- 9) რადიოაქტიური ნარჩენების განთავსება (სამარხის მოწყობა);
- 10) ქვანახშირის გაზიფიცირებასთან, გათხევადებასთან, ბრიკეტირებასა და დაკოქსვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიმძლავრის წარმოება;
- 11) მაგისტრალური ნავთობსადენისა და გაზსადენის გაყვანა;
- 12) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი და ბუნებრივი აირების საცავების, ტერმინალების განთავსება, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებული ავზებიდან ერთ-ერთის მოცულობა 1000 კუბ.მ-ზე მეტია ან მათი ჯამური მოცულობა 1000 კუბ.მ-ს აღემატება;
- 13) საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, რკინიგზის და მათზე განთავსებული ხიდების, გზაგამტარი გვირაბის, აგრეთვე საავტომობილო გზის, რკინიგზის და მათი ტერიტორიების საინჟინრო დაცვის ნაგებობების აგება;
- 14) მაღალი ძაბვის (35 კვტ და მეტი) საპაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა და ქვესადგურის (110 კვტ-ისა და მეტი ძაბვის) განთავსება;
- 15) პიდროელექტროსადგურის (2 მვტ-ისა და მეტი სიმძლავრის) და თბოელექტროსადგურის (10 მვტ-ისა და მეტი სიმძლავრის) განთავსება;
- 16) მეტროპოლიტენის მშენებლობა;

- 17) წყალსაცავის (10 000 კუბ.მ-ისა და მეტი მოცულობის) მოწყობა;
- 18) ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების (დღე-ლამეში 1000 კუბ.მ-ისა და მეტი მოცულობის), აგრეთვე მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსება;
- 19) აეროდრომის, აეროპორტის, რკინიგზის სადგურისა და საზღვაო ნავსადგურის მოწყობა;
- 20) კაშხლის, ნავსადგურის, ნავმისადგომის, მოლისა და ბუნის განთავსება;
- 21) ქიმიური მრეწველობა, კერძოდ: ნახევარფაბრიკატების (შუალედური პროდუქტების) ქიმიური დამუშავება და ქიმიური ნივთიერებების წარმოება; პესტიციდების, მინერალური სასუქების, ქიმიური საღებავების, ლაქის, პეროქსიდებისა და ელასტიკური ნივთიერებების (რეზინის ან პლასტიკური ნივთიერებების) წარმოება და დამუშავება; დენთისა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება; აკუმულატორების წარმოება; გრაფიტის ელექტროდების დამზადება;
- 22) ნავთობგადამამუშავებელი და გაზგადამამუშავებელი წარმოებები (დღე-ლამეში 500 ტ-ზე მეტის);
- 23) ნებისმიერი მეტალურგიული წარმოება (საათში ტონაზე მეტი პროდუქციის წარმადობით), გარდა ლითონთა ციგად დამუშავებისა და საიუველირო წარმოებებისა;
- 24) ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერების საცავების მოწყობა.

გამოყენებული ნორმატიული აქტები

- 1) საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ (1997-2007);
- 2) საქართველოს კანონი „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (1997-2007);
- 3) საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (2007);

- 4) საქართველოს კანონი „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (2007);
- 5) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (1984);
- 6) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999);
- 7) საქართველოს კანონი „სალიცენზიონ და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ (2003).
- 8) საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ (1998);
- 9) საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის №154 დადგენილება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- 10) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2002 წლის 15 ნოემბრის №109 ბრძანება „გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისპროცედურით დადგენილი მეოთხე კარეგორიის საქმიანობის ჩამონათვალის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე (ძალადაკარგულია);
- 11) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1999 წლის 22 ივნისის №79 ბრძანება „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“. (ძალადაკარგულია).
- 12) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №28 ბრძანება „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“.

**გარემოზე ზემოქმედების შეფასების მარეგულირებელი კანონმდებლობა
1997-დან 2015 წლამდე**

	1997-2005	2005-2015
გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობა	57	24
ნებართვის გაცემის ვადა	3 თვე	20 დღე
საწებართვო საქმიანობის კატეგორიები	4	1
მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი	არა	ვი
კოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების ვადა	75 დღე	15 დღე
პროექტის შეთანხმების ვალდებულება სხვა უწყებებთან	ვი	არა
გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა	ვი	არა
საზოგადოების ინფორმირება	უფლება	ვალდებულება
ნებართვის გაცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით	ვი	არა
საწებართვო მოსაკრებელი გარემოსდაცვით შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობისთვის	500 ლარი (2003 წლიდან)	500 ლარი
მიმდინარე საქმიანობის გაგრძელებაზე ნებართვა	არა	ვი
პასუხისმგებლობა ნებართვის უქონლობისთვის პირველ შემთხვევაში	სისხლისსამართლებრივი	ადმინისტრაციული

